

გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასება -განმარტება

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად :“ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება არის საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს გარემოზე ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია სტრატეგიული დოკუმენტის ან დაგეგმილი საქმიანობის მთლიანად ან ნაწილობრივ საქართველოში ან სხვა სახელმწიფოში განხორციელებით“; 1

აქედან გამომდინარე, ისეთი სტრატეგიული დოკუმენტების განხორციელების შემთხვევაში, რომლებმაც შესაძლოა ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები გამოიწვიოს, უნდა განხორციელდეს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა.

მიზანი,დანიშნულება

გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა უზრუნველყოფს შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქვეყნების საზოგადოებისა და გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის უწყებების მოსაზრებების გათვალისწინებას სგშ/გშმ -სა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ასევე მათ ინფორმირებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული მათ მიერ წარმოდგენილი კომენტარები.

სამართლებივი მოთხოვნები

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად გარემოზე ტრანსსასაზღვრო შეფასების პროცედურა ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში, თუ:

- გშმ-ისადმი დაქვემდებარებულმა საქმიანობამ, რომელიც საქართველოში ხორციელდება, შესაძლოა მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე
- სგშ-ისადმი დაქვემდებარებულმა სტრატეგიულმა დოკუმენტმა, რომელიც საქართველოში ხორციელდება, შესაძლოა მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე
- საქმიანობამ ან სტრატეგიულმა დოკუმენტმა, რომელიც სხვა სახელმწიფოში ხორციელდება, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს გარემოზე

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოზე ტრანსსასაზღვრო შეფასების პროცედურა ხორციელდება იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს გარემოსდაცვითი სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი აქვს ასეთი ვალდებულება ან საქართველოსა და ამ სახელმწიფოს შორის დადებულია ორმხრივი ხელშეკრულება გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელების შესახებ. შესაბამისად გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელებისთვის პასუხისმგებელია სამინისტრო ² . სამინისტრო ვალდებულია გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების

¹ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი-მუხლი 3,პუნქტი-ჩ.

² საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შეფასების პროცედურასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებისთვის ყველა დოკუმენტი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე- IV თავით დადგენილი წესით, რაც გულისხმობს ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას და მოიცავს შემდეგ საკითხებს როგორცაა; ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობები, საზოგადოების ინფორმირება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოსაზრებებისა და შენიშვნების საჯაროდ განხილვა (საჯარო განხილვის წესი [საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა](#) და ამ კოდექსის შესაბამისად დგინდება [„საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით](#)), საზოგადოების მონაწილეობის შედეგების გათვალისწინება, გადაწყვეტილების გასაჩივრება.

საქართველოსა და სხვა სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულებით/შეთანხმებით თუ გათვალისწინებულია გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების ამ კოდექსით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პროცედურა და საფუძვლები, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასებისას გამოიყენება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების/შეთანხმების დებულებები.

გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 37-ე მუხლის პიკრული და მეორე ნაწილებით ³ განისაზღვრება ის საფუძველი რამაც შესაძლოა გარემოზე მოახდინოს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება. რომელიც იდენტიფიცირებულია საქმიანობის განმახორციელებლის, დამგეგმავი ორგანოს, სამინისტროს ან/და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული სახელმწიფოს მიერ.

სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობა გამოსცემს საქმიანობის/სტრატეგიული დოკუმენტის გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც განისაზღვრება საქმიანობის განმახორციელებლის ან დამგეგმავი ორგანოს ვალდებულება, სამინისტროს წარუდგინოს შესაბამისი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების იმ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე თარგმნილი და სანოტარო წესით დამონმებული ეგზემპლარები, რომელიც შესაძლოა ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას დაექვემდებაროს (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით), და ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვადა. საქმიანობის განმახორციელებლის ან დამგეგმავი ორგანოს მიერ თარგმნილი დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენამდე საქართველოს მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე მინისტრი იღებს გადაწყვეტილებას დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ. საქმიანობის განმახორციელებლის ან დამგეგმავი ორგანოს მიერ თარგმნილი დოკუმენტაციის წარდგენისთანავე სამინისტრო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, 7 დღის ვადაში უგზავნის ამ დოკუმენტაციას ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ სახელმწიფოს და ატყობინებს მას საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილ გონივრულ ვადას, რომელშიც ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულმა სახელმწიფომ უნდა აცნობოს სამინისტროს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურაში მონაწილეობის შესახებ.

თუ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული არცერთი სახელმწიფო არ გამოხატავს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურაში მონაწილეობის ინტერესს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში, მინისტრი

³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=2>

საქართველოს მთავრობის თანხმობით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შეწყვეტისა და გზმ-ის ან სგშ-ის პროცედურის გაგრძელების შესახებ. საქართველოს მთავრობა თანხმობის მიცემასთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

თუ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული რომელიმე სახელმწიფო გამოხატავს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურაში მონაწილეობის ინტერესს, მის მიერ ინტერესის გამოხატვიდან 1 თვის ვადაში, სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას ამ სახელმწიფოსთან გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების შესახებ. ეს გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დოკუმენტებისა და მონაცემების გაცვლის ფორმების, შემდგომი კონსულტაციებისა და გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელების ვადების შესახებ. საქმიანობის განმახორციელებელი ან/და დამგეგმავი ორგანო ვალდებულია:

- სკრინინგის განცხადებაში ან სკოპინგის განცხადებაში მიუთითოს შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშში ან სგშ-ის ანგარიშში სათანადოდ შეაფასოს შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება;
- უზრუნველყოს დოკუმენტაციის სათანადო თარგმნა და ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორის სანოტარო წესით დამოწმება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საჯარო განხილვის დროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დასწრების შემთხვევაში უზრუნველყოს სათანადო თარგმნა;
- საჭიროების შემთხვევაში, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელებისას უზრუნველყოს სამინისტროსთვის შესაბამისი დახმარების განწევა;
- უზრუნველყოს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის სკოპინგის ანგარიშში, გზმ-ის ანგარიშში, სგშ-ის ანგარიშში ან/და სტრატეგიულ დოკუმენტში გათვალისწინება.